# საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი, რომელიც აირჩია საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობამ.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად პლენუმმა აირჩია ამხანაგები: გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ვ. ბედინეიშვილი, გ. გ. გელაშვილი, ნ. ვ. გურგენიძე, თ. თ. კაველიძე, ჯ. ა. კვარაცხელია, ვ. ი. კოლიადენკო, რ. ვ. მეტრეველი, ო. ე. ჩერქეზია, ა. დ. ჩიკვაიძე, ო. ა. წვერავა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ო. ე. ჩერქეზია.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. გ. ა. ანდრონიკაშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ამხანაგები: რ. ვ. მეტრეველი და ნ. ვ. გურგენიძე.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორად პლენუმმა დაამტკიცა ამხ. გ. გ. გელაშვილი, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორად — ამხ. გ. ვ. ბედინეიშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ა. გეგეშიძე, ვ. მ. სირაძე, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. საიუშევი.

* * *

გაიმართა საქართველოს ალკკ ახლად არჩეული სარევიზიო კომისიის სხდომა, კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ჯ. ე. პაჭკორია.

30 იანვარი
სამშაბათი
№ 21 (1872)
1962 წ.
გამოცემის მე-18 წელი,
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

# ფენომენალური რეკორდები

ალმა-ატის მახლობლად მდებარე მედეოს მაღალმთიანი საციგურაო ამ დღეებში მთელი სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში იყო. აქ გამართულ საბჭოთა კავშირის პირველობისაგან სპეციალისტები სრული საფუძვლით ელოდნენ ახალ რეკორდებს.

მოლოდინი გამართლდა პირველსავე დისტანციაზე და თითქმის პირველსავე წყვილთა გამოსვლებში. ჩელიაბინსკელმა სპორტსმენმა ქალმა ტ. სიდოროვამ 500 მეტრი გაირბინა 45,5 წამში და მოხსნა თ. რილოვას მიერ 7 წლის წინათ დამყარებული მსოფლიო რეკორდი — 45,6 წამი. მაგრამ ტ. სიდოროვას ახალმა რეკორდმა სულ რამდენიმე საათი იარსება. 25 წლის მოსკოველმა ი. ვორონინამ, რომელიც უკანასკნელ წყვილში მოხვდა, აჩვენა ფენომენალური შედეგი — 44,9 წამი და ერთბაშად 0,6 წამი „ჩამოაჭრა" ახალ რეკორდს.

შემდეგი დისტანციებიც ი. ვორონინას სრული ტრიუმფით აღინიშნა. 1.500 მეტრი მან დაფარა 2.19,0 წუთში და კვლავ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. შეჯიბრების მეორე დღეს ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში მყოფმა მოსკოველმა მოციგურემ კიდევ ერთხელ (3.000-მეტრიან დისტანციაზე) აჩვენა მსოფლიო რეკორდზე მაღალი შედეგი და გამარჯვებული გამოვიდა 1.000 მეტრზე რბენაშიც. სამი მსოფლიო რეკორდი ოთხჭიდში! — ასეთი მიღწევა იშვიათად ახსოვს ციგურებით რბენის ისტორიას. ამის შედეგი იყო ი. ვორონინას მეოთხე მსოფლიო რეკორდიც, ამჯერად, უკვე ოთხჭიდის ჯამში — 189,333 ქულა.

ი. ვორონინამ მოიგო ოთხივე დისტანცია და ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილზე გამოვიდა ოლიმპიური ჩემპიონი, ჩელიაბინსკელი სპორტსმენი ლ. სკობლიკოვა.

# სტოკჰოლმის საზონათშორისო

14 ქვეყნის ის 23 მოჭადრაკე, რომლებმაც მოიპოვეს საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება, 27 იანვარს ჩაებნენ ბრძოლაში. სტოკჰოლმის ჭადრაკის მოყვარულთ პირველ ტურში განსაკუთრებით აინტერესებდათ პეტროსიანის, გელერის, კორჩნოის, ფიშერისა და სხვათა ბრძოლები.

პეტროსიანი თეთრებით ეთამაშებოდა ოლაფსონს. დასაწყისში პეტროსიანს საკმაოდ უჭირდა, მაგრამ მის დასახმარებლად მოვიდა მოჭადრაკეთა მტერი — ცაიტნოტი და ოლაფსონი იძულებული გახდა ფარ-ხმალი დაეყარა. ცაიტნოტმა გადაწყვიტა შეხვედრის ბედი გელერ-კუელარის პარტიაშიც, მაგრამ ამჯერად კუელარის სასარგებლოდ. ცაიტნოტამდე გელერს ზედმეტი ხარისხი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ არაზუსტად ითამაშა და დამარცხდა.

საინტერესო პოზიციაში, ძალთა თავისებურ შეფარდებაში გადაიდო კორჩნოი-გერმანის პარტია. პარტიის გადადებამდე კორჩნოიმ შეძლო გაეყვანა მეორე ლაზიერი. გადადებული პარტიების განახლებისას დაფაზე ექნება ორი ლაზიერი, ეტლი და 4 პაიკი, ხოლო მისი მოწინაამდეგის ჯელა-დიდებას შეადგენს ლაზიერი, ორი ეტლი, მხედარი და 4 პაიკი. ტეშნერ-ფიშერის პარტიაში ამერიკელმა ვერ გამოიყენა უპირატესობა. გადადებულ პარტიაში ტეშნერს შეუძლია ყაიმს მიაღწიოს. ფილიპმა მოუგო იანოვსკის, ულმანმა — პომარს. ყაიმით დამთავრდა ბოლბოჩან-შვებერის, პორტიშ-ბილეკისა და ბერტოკ-გლიგორიჩის შეხვედრები.

მეორე ტურიდან ბრძოლაში ჩაება შტეინიც. იგი შეხვდა პეტროსიანს. საბჭოთა მოჭადრაკეებმა მალე მიაღწიეს შეთანხმებას და ნახევარ-ნახევარი ქულით დაკმაყოფილდნენ. ყაიმით დამთავრდა ოლაფსონ-გელერისა და ბარცა-პორტიშის პარტიები. სხვა შეხვედრები გადაიდო, ორი ტურის შემდეგ ლიდერობს ტ. პეტროსიანი, რომელსაც 1,5 ქულა აქვს.



კრუმინში, რომელიც თამაშობს რიგის არმიელთა გუნდში, ყველაზე მაღალი კალათბურთელია საბჭოთა კავშირში. იგი გიგანტური აღნაგობის მიუხედავად, მოძრავია და გუნდის ძირითად დამრტყმელ ძალას წარმოადგენს.

სურათზე: კრუმინში ბურთისათვის ბრძოლის დროს.



როგორც ცნობილია, ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელები წელს მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასში. ამიტომ ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე მიმდინარეობს სამუშაოები მინდვრის კეთილმოსაწყობად.

სურათზე: მეცნიერი მუშაკი, მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტული სექტორის გამგე გ. აბრამაშვილი (მარჯვნივ) და ქუთაისის სპორტკავშირის ინჟინერი ა. ხანანაშვილი ამოწმებენ სათამაშო მინდვრის ვარგისიანობას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# სამი პრობლემა

რაც უფრო ახლოვდება ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები, მით უფრო გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებიან მისი ორგანიზატორები, საქმე იმაშია, რომ თუ კი აქამდე ოლიმპიადის ნორმალურად ჩატარების საქმეს ხელს უშლიდა ტოკიოს ტერიტორიაზე განლაგებული აშშ-ს სამხედრო ბაზები და ეს საქმე როგორც იქნა დადებითად გადაიჭრა, ამჟამად საორგანიზაციო კომიტეტი დიდ ფინანსურ სიძნელეს განიცდის. საქმე იმაშია, რომ ოლიმპიური სტადიონი ისე უნდა გადაკეთდეს, რომ მან დაიტიოს 85 ათასი კაცი. ამისათვის საჭიროა 3,3 მილიონი დოლარი. ახალი საწყლოსნო აუზის აგება დაჯდება 7,8 მილიონი დოლარი. უნდა აშენდეს გიგანტური ხიდი, რომელიც განტვირთავს ტოკიოს მთავარ მაგისტრალებს, ხელს შეუწყობს ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობას, მაგრამ ამისათვის უნდა გამოიყოს 3,4 მილიონი დოლარი. ეს თანხა რომ შეგროვდეს საორგანიზაციო კომიტეტს განზრახული აქვს გამოუშვას სპეციალური მარკები, შეაგროვოს შეწირვები მოსახლეობისაგან, გაადიდოს შესასვლელი ბილეთების ფასი.

ამას გარდა, იაპონიაში თარჯიმნების დიდი ნაკლებობაა. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყანაში ბევრი ლაპარაკობს ინგლისურ ენაზე, მაგრამ მათ ინგლისურად წერა არ იციან. აქ მხოლოდ 900 თარჯიმანია. თუ კი მხედველობაში მივიღებთ, რომ თარჯიმნები ჭირდებათ ოფიციალურ პირებს, სპორტსმენებს, ტურისტებს, ისინი უნდა იყვნენ შეჯიბრებაზე, ფოსტაში, სასადილოში, მაშინ ეს რიცხვი ძალზე მცირეა. ამისათვის დედაქალაქში ჩამოყალიბდა თარჯიმნების მოსამზადებელი 2-წლიანი ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.

მესამე პრობლემაა ოლიმპიურ თამაშებზე ჩამოსულთა დაბინავების საკითხი, თუ კი გეგმით გათვალისწინებული შენობები აიგო, ტოკიო სტუმრებზე გასცემს 20.000 საწოლს.

ტურისტების დიდ რაოდენობას დააბინავებენ „მოცურავე სასტუმროებში" — ტოკიოსა და იოკოჰამას ნავსადგურებში მყოფ დიდ საოკეანო გემებზე.

რომის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე იაპონელი სპორტის მესვეურები საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ ტოკიოს შეჯიბრებებს ევროპის ტელეხედვა მიიღებდა დედამიწის სპეციალური თანამგზავრის წყალობით, რომელსაც იაპონიაში ოლიმპიური თამაშების წინ გაუშვებდნენ. მაგრამ ეს დაპირება დაპირებად დარჩა, დედამიწის სპეციალური თანამგზავრის გაშვება — ოცნებად.





# უკვდავების დასაწყისი

... თოკში ჩაბმული მთამსვლელები ნელი ნაბიჯით მიიწევენ წინ, ყინვარის გლუვ ზედაპირზე. ხან თოვლიანი ნამქერი ეღობებათ, ხან —სახიფათო გადასასვლელები. მძიმე ნაბიჯები თითქოს უხალისოდ ძლევენ დაბრკოლებებს... ნამდვილად უხალისოდ! ეს მაშველი ექსპედიციაა, რომელიც მთებთან ჭიდილში დაცემულ მამაცებს ეძებს.

აი, თოვლში სანახევროდ ჩაფლული სქელი რვეული. იგი მთამსვლელის ფეხებთან აგდია, ქარბუქის მიერ ნაწვალები და გადაფურცლილი. მთამსვლელი იხრება და სათუთად იღებს ხელში რვეულს. თოვლისა და სისველის მიერ სანახევროდ გადაშლილი სტრიქონები... ეს დაღუპულთა ლაშქრობის დღიურია, რომელიც „პობედაზე" მათი ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ მოგვითხრობს და გულსაკლავად დუმს, არაფერს ამბობს მათს ტრაგიკულ ბედზე.

ასე იწყება ახალი, მოკლემეტრაჟიანი, ყველა ქართველი და საბჭოთა ალპინისტისათვის მეტად ძვირფასი ფილმი — „დაუმთავრებელი დღიური", რომელიც ტიან-შანზე დაღუპული შესანიშნავი ქართველი მთამსვლელების — ჯუმბერ მეძმარიაშვილის, ილია გაბლიანისა და თეიმურაზ კუხიანიძის ხსოვნისადმია მიძღვნილი. იგი ასახავს „პობედაზე" მათი უკანასკნელი ლაშქრობის ეპიზოდებს, თავისებური ლირიზმით სავსე, ამაღელვებელ, ახლა უკვე რაღაც ძვირფას რელიქვიად ქცეულ კინოკადრებს.

... 1961 წლის 15 აგვისტო. პიკ „პობედაზე" ჯერ გაუკვალავი გზით ასვლისათვის სამზადისი, ჩვენი რესპუბლიკის მთამსვლელთა ექსპედიციის გაცხოველებული საქმიანობა რჩეული ექვსეულის გასამგზავრებლად.

17 აგვისტო. იგივე ყინვარი. იერიშის წინა დღე. ღამე წვება თოვლში ჩაფლულ კარვებს შორის. თეიმურაზ კუხიანიძე გიტარას უკრავს და ტიან-შანის პირქუშ სტიქიას ნაზი, ტკბილი ქართული მელოდია ეფინება: „გულს რად მიკლავ, მე სიცოცხლე ჯერ არ დამიმთავრებია"...

და აი, იერიში იწყება. ექვსეული მწკრივშია: ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ილია გაბლიანი, თეიმურაზ კუხიანიძე, მიხეილ ხერგიანი — უფროსი, მიხეილ ხერგიანი — უმცროსი და კირილე კუზმინი. მათ მთელი ბანაკი აცილებს და გამარჯვებას უსურვებს „გამარჯვებაზე".

დიქტორი კვალდაკვალ მიყვება მამაცი მოლაშქრეების ყოველ ნაბიჯს. იგი ლაპარაკობს ამ ერთადერთ სპორტულ შერკინებაზე, რომელსაც არ ერთვის თან ხალხმრავალი ტრიბუნების გამაყრუებელი, ალტაცების გამომხატველი ყიჟინი, თუმცა ამ ალტაცებას ყველაზე მეტად ეს მუხლმაგარი, მთებთან შეჭიდებული ვაჟკაცები იმსახურებენ. ყიჟინის ნაცვლად ირგვლივ ყინულის, თოვლისა და მთათა სტიქიის ცივი მდუმარებაა.

23 აგვისტო. იწყება გადამწყვეტი შტურმი, რომელსაც ოთხნი აწარმოებენ: ჯ. მეძმარიაშვილი, ი. გაბლიანი, თ. კუხიანიძე და კ. კუზმინი. ეს უმაგალითო შტურმი ოთხ დღეს გრძელდება და კადრები კვლავ თანმიმდევრულად წარმოგვიდგენენ ურთულეს სიძნელეებს, რომლებსაც ჯერ არავინ გაუტარებიათ თავიანთი გზით „პობედისაკენ". მაგრამ, მამაცნი დაუოკებლად მიისწრაფვიან წინ, მწვავე, დამქანცველ ბრძოლაში სძლევენ ყველაფერს. და აი, გამარჯვებაც!...

26 აგვისტო. [illegible] მწვერვალზეა. წერაყინები საზეიმოდ ბრწყინავს მათს აწეულ ხელებში... და უცბათ ყველაფერი — ეს შესანიშნავი გამარჯვება, მისგან მოგვრილი სიხარული და ზეიმი — მწუხრით იცვლება...

ფილმი, რომლის რეჟისორებიც არიან ო. გურგენიძე და ბ. კრეპსი (ბ. კრეპსი, ამასთან, ოპერატორიცაა), მახვილგონივრული სიმბოლიური კადრებით წარმოგვიდგენენ ტრაგიკულ ფინალს: მწვერვალზე ოთხი წერაყინია დარჭობილი. მერე სამი ცალკევდება და წასაქცევად იხრება — ჯერ ერთი ეცემა ძირს, ხოლო შემდეგ — ორი, რომლებიც სრიალით ეშვებიან ძირს და მთების გულში იკარგებიან...

მაგრამ ეს ტრაგიზმი მაინც ვაჟკაცურად ჟღერს: უბედურმა შემთხვევამ შეწყვიტა მამაცთა სიცოცხლე და მანვე დაუდო სათავე მათს უკვდავებას!

ხოლო თავიანთ ძმათა შურის საძიებლად კვლავ დალაშქრავენ გოროზ მწვერვალებს ჩვენი მამაცი მთამსვლელები.

**შ. ჯულელი**

**სურათებზე:** კადრები ფილმიდან.



## ქალაქებსა და რაიონებში

### თბილისი

პირველი მაისის რაიონის ნორჩ მოჭადრაკეთა პირველობაში, რომელიც შვეიცარული სისტემით ჩატარდა, 20 ჭაბუკი მონაწილეობდა. პირველი ადგილი წილად ხვდა ი. ფაილოძეს — 5 ქულა. მეორე იყო ს. გერშეოვიჩი — 4,5 ქულა. მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ბ. კობერიძემ და გ. ჩხეტიამ — 4 ქულა თვითეულს.

თბილისის გოგონათა პირველობაში, რომელშიც 24 მოჭადრაკე მონაწილეობდა, ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ც. კობახიძემ (5 ქულა).

**ო. ალიხანოვი**

### მახარაძე

დამთავრდა მოსწავლეთა საქალაქო გუნდური პირველობა ჭადრაკში, რომელიც მახარაძის პიონერთა რაიონული სახლის კლუბში ჩატარდა. პირველი ადგილის ბედი გადაწყდა მატჩში მე-2 და 1-ლი საშუალო სკოლების მოსწავლეებს შორის. შეხვედრა მოიგო 1-ლი სკოლის გუნდმა.

• • •

ზამთრის არდადეგების პერიოდში გაიმართა გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში რაიონის მოსწავლეთა შორის. პირველობა დაისაკუთრეს მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. გუნდში იყვნენ ა. ლომაძე, ჰ. გოგატაძე და ბ. სამსონიძე. მომდევნო ადგილები დაიკავეს მე-3 და 1-ლი საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

• • •

აქ მოეწყო რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრება კალათბურთში. ტურნირი წარმატებით ჩაატარა მახარაძის რუსული საშუალო სკოლის გუნდმა, რომელსაც წილად ხვდა პირველი ადგილი.

**ო. კიშინსკი**

### ქუთაისი

დიდი ინტერესი გამოიწვია ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის დაწესებულებათა პირველობამ ჭადრაკში. ტურნირი დიდი აღმავლობით ჩაატარა ქიმიური ნაწარმის ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრმა ნ. მიქაიამ, რომელმაც 18 ქულა მოაგროვა 19 შესაძლებლიდან. აღსანიშნავია, რომ მიქაია „იმერეთის" ფეხბურთელთა გუნდის წევრიცაა.

II-III ადგილები გაიყვეს ავეჯის ფაბრიკისა და უსინათლოთა საზოგადოების წარმოებების მუშაკებმა ო. კუპავამ და ჯ. ყუავაძემ. საპრიზო ადგილებზე გამოსულ მუშა-სპორტსმენებს საპატიო სიგელები გადაეცათ.

**ი. ხხილაძე**

# ტრადიციას აღდგენა უნდა

მრავალი ცნობილი ტანმოვარჯიშე აღზრდილა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სპორტულ ბაზაზე, რომელიც უწინ ახალგაზრდა კადრების სამჭედლოს წარმოადგენდა, მაგრამ დღეს...

თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშული სპორტსკოლის ახალ ბაზაზე გადასვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. წინათ II-III თანრიგამდე მისული მოზარდი იქვე გადადიოდა ხოლმე სპორტულ სკოლაში და წარმატებით სრულყოფდა თავის ოსტატობას. დღეისათვის მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საგრძნობლად შეიკვეცა, ვინაიდან სასახლის ფიზიკური აღზრდის განყოფილებას სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადება არ ევალება, მეცადინეობის რაოდენობის სიმცირე კი (კვირაში ორჯერ) ხელს უწყობს ტანმოვარჯიშეთა განთესვას.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ფიზიკური აღზრდის განყოფილებას ვ. ლაზარევას, თ. ზურაბიშვილის, ზ. გაგოშიძის, ი. არუთინოვის, თ. წიგნაძის, ტ. ბახტაძის სახით მაღალკვალიფიციური მწვრთნელები ჰყავს, მაგრამ ორჯერადი მეცადინეობის გამო ტანვარჯიშში (სახეობათა მიხედვით) ჩაბმულ მოსწავლეთა ჯგუფები საიმედო შევსებას ვერ მისცემენ რესპუბლიკის მოზარდთა ნაკრებს.

ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ერთი ასეთი ფაქტი: 1959-60 სასწავლო წელს ტანმოვარჯიშეთა სამჯერად მეცადინეობაზე გადასვლამ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ფიზიკური აღზრდის განყოფილებას საშუალება მისცა სპორტსმენები ბავშვთა საქალაქო პირველობაზე გაეყვანა კომპლექსურ ტანვარჯიშში.

შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა — პიონერთა სასახლის ტანმოვარჯიშეებმა, რომლებსაც სერიოზულ მოწინააღმდეგედ არავინ თვლიდა, მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავეს ბავშვთა ცენტრალური სპორტსკოლისა და რკინიგზის სპორტსკოლის გუნდების შემდეგ. ეს მწვრთნელთა კოლექტივის დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მათ გამოავლინეს მთელი შესაძლებლობანი ტანმოვარჯიშეთა მომზადებაში, მეცადინეობამ კვლავ ორჯერადი ხასიათი მიიღო და აწყობილი საქმე რეგრესის გზას დაადგა.

მეცადინეობა სპორტულ ტანვარჯიშში აქ სამშაბათსა და შაბათს წარმოებს. წამყვან ტანმოვარჯიშეთა შენარჩუნების მიზნით ზ. გაგოშიძე და ი. არუთინოვი თავიანთ აღსაზრდელებს ხუთშაბათობითაც ამეცადინებენ ხოლმე დამატებით მხატვრული ტანვარჯიშის გაკვეთილზე და ფაქტიურად მხოლოდ რამდენიმე სპორტსმენია პრივილეგირებულ მდგომარეობაში. სხვები? ყველას ხომ ვერ დაიტევს სხვისი მეცადინეობის დროს დარბაზის ერთ კუთხეში გამოძებნილი ადგილი?

ლენინგრადის, კიევის, ერევნისა და სხვა ქალაქების პიონერთა სასახლეებთან შექმნილია ტანვარჯიშული სპორტსკოლები. განა დრო არ არის, რომ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მდიდარი ტრადიციების მქონე სპორტული ბაზაც იქცეს ტანმოვარჯიშეთა ახალ სამჭედლოდ?

**გ. სამსონაძე**

**მსოფლიოს ექს-ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში როსტომ აბაშიძე ცნობილია როგორც მაღალი ტექნიკის მქონე სპორტსმენი. მან ამას წინათ ჩატარებულ საკავშირო გუნდურ პირველობაზე საქართველოს გუნდის წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანა.**

* * *

**სურათზე:** რ. აბაშიძე ჭიდაობის დროს.



# ტურნირი ერევანში

ერევანი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტი). XII ტურში ყურადღების ცენტრში იყო ტურნირის ლიდერის — კუშნირისა და სემიონოვას პარტია. მოსკოველმა მოჭადრაკემ კარგად გაითამაშა დებიუტი და ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა, რითაც მტკიცედ ჩაუდგა ტურნირს სათავეში. არანაკლები საინტერესო იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონ ბორისენკოსა და ზატულოვსკაიას პარტია. იგი არ დამთავრებულა და ბორისენკოს უპირატესობით გადაიდო. ტოგონიძემ, რომელიც შავებით თამაშობდა შადურასთან, შუა თამაშში პაიკი მოიგო, შემდეგ ეს უპირატესობა შეინარჩუნა და გაიმარჯვა.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

გუშინ, ტურნირის XIII ტურში ბიშერდმა მოუგო სემიონოვას, ზატულოვსკაიამ — კაცკოვას. დამარცხება განიცადა ტურნირის ლიდერმა კუშნირმა ვოლპერტთან. ყაიმით დამთავრდა ლიაპუნოვა-შადურას, ბორისენკო-იაკირის, იგნატიევა-კახაბაძის, ტიხომიროვა-როოტარესა და ტოგონიძე-ზვორიკინას პარტიები, კაზლოვსკაია-რანიკუსა და ვოიცეკ-ნახიმოვსკაიას პარტიები გადაიდო.

XIII ტურის შემდეგ ტურნირში კვლავ ლიდერობს კუშნირი — 13 შესაძლებლიდან 9 ქულა. 8,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს ზატულოვსკაიას, ტოგონიძესა და ბორისენკოს 8 ქულა და თითო გადადებული პარტია.

დღეს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

# კალათბურთელებმა დაიპყრეს ასპარეზი



## თბილისი

— რომელი გუნდია უძლიერესი თბილისის ტურის შეხვედრებში? ვაჟთა შორის საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის ყოფილი მფლობელი რიგის არმიელთა კოლექტივი. ქალებში? ლენინგრადის სკა —საკავშირო პირველობის პრიზიორი და ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მონაწილე. ასეთ პასუხს მიიღებთ ყველასაგან: ტურნირის მონაწილეებისაგან, სპეციალისტებისა და მაყურებლებისაგან. ეს პასუხი ჭეშმარიტებას არ არის მოკლებული, თუმცა როგორც რიგის, ისე ლენინგრადის გუნდები ჯერ არიან თავიანთ საუკეთესო სპორტულ ფორმაში.

აი მაგალითად, რიგის არმიელთა კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში გამოდიან საბჭოთა კალათბურთის საუკეთესო წარმომადგენლები: ვალდმანისი და კრუმინში, ვ. მუიჟნიეკსი და კალნინში, გ. მუიჟნიეკსი, გულბისი და მზარდი ახალგაზრდა კალათბურთელი, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ლიპსო. უკეთეს შემადგენლობას ვერ ინატრებს ვერც ერთი გუნდი, ვერც ერთი მწვრთნელი, მაგრამ... საქმე სწორედ ამ მაგრამშია.

ლატვიელებმა პირველ ორ შეხვედრაში ვერ აჩვენეს კარგი თამაში. პირველი მატჩი კაუნასის „ჟალგირისთან" მათ დიდი გაჭირვებით მოიგეს და რომ კრიტიკულ მომენტში კრუმინშს არ გამოემჟღავნებინა თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმი ბრძოლა შეიძლება რიგელთათვის კრახით დამთავრებულიყო. ექვსქულიანი სხვაობა ანგარიშში (70:60) ამის ნათელი მაგალითია.

მეორე მატჩი ლენინგრადის არმიელთა გუნდთან ლატვიელებისათვის კვლავ არახელსაყრელად წარიმართა. სტარტზე ლენინგრადელები წინ იყვნენ 10 ქულით. და უპირატესობა მათ ტაიმის უკანასკნელ წუთამდე შეინარჩუნეს. მაგრამ უკანასკნელ მომენტში კრუმინშმა, რომელიც მწვრთნელს რატომღაც თამაშის დასაწყისში არ გამოჰყავს, წინ გაიყვანა თავისი გუნდი ერთი ქულით — 25:24.

მეორე ნახევარში რიგელებმა, ბოლოსდაბოლოს ხელთ იგდეს ინიციატივა და შეძლეს შეუპოვარი მეტოქის წინააღმდეგობის გატეხვა. მატჩი ლატვიელებმა მოიგეს ანგარიშით 83:49.

ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ლენინგრადის არმიელ ქალთა გუნდს სვერდლოვსკის „ურალმაშმა". მართალია, პირველი ტაიმი ლენინგრადელებმა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს (30:26), ძნელი სათქმელი იყო შეძლებდნენ თუ არა ისინი უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნებას. სწრაფი, ტემპიანი თამაშით ურალელმა კალათბურთელებმა შებოჭეს მოწინააღმდეგის ტექნიკური უპირატესობა. ლენინგრადელთა ცენტრალურ თავდამსხმელს ორეხოვას უჭირდა თავდასხმიდან დაცვაში დროული გადასვლა და სვერდლოვსკის გუნდმაც აქცენტი სწორედ ამაზე გადაიტანა.

გაცილებით აგრესიული გახდა ლენინგრადელთა თამაში ორეხოვას გასვლის შემდეგ. ლენინგრადელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 58:47.

თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა გუნდი ამ დღეს მინსკის თანაკლუბელებთან თამაშობდა. სტუმრებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს პირველ 10 წუთში. თბილისელები გვიან შევიდნენ როლში, მაგრამ შევიდნენ საკმაოდ დამაჯერებლად. შედარებით უშედეგო პირველი ნახევრის შემდეგ (თბილისელებმა იგი მოიგეს ანგარიშით 18:9) ორივე გუნდის თავდასხმა გააქტიურდა. ზუსტი, თითქმის უშეცდომო სროლებით თ. საბადაშვილმა საბოლოოდ გასტეხა სტუმრების საბრძოლო სული, რომლებმაც მატჩის უკანასკნელი წუთებისათვის დაყარეს ფარ-ხმალი. თბილისის გუნდმა მოიპოვა მეორე გამარჯვება.

სწრაფ, შემტევ სტილში დაიწყო თამაში თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდმა კიშინიოვის „ინდორსტროის" წინააღმდეგ. თვალშეუვლები, ლამაზი კომბინაციებით, რომელშიც წარმატებით მონაწილეობდა თბილისელთა მთელი ხუთეული (კაკაურიძე, გლურჯიძე, ლომაძე, ლეჟავა, კაზანჯიანი), ისინი ადვილად ქმნიდნენ რიცხობრივ უპირატესობას მოწინააღმდეგის ფარქვეშ და წარმატებით იყენებდნენ მას. როდესაც ანგარიშმა 10:0-ს მიაღწია, თბილისელებმა შეანელეს ტემპი და მოწინააღმდეგეს „ამოსუნთქვის" საშუალება მისცეს. თამაში მოულოდნელად გათანაბრდა, თუმცა ანგარიშში უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო — 18:6, 22:13, 26:17, პირველი ოცი წუთი თბილისის „ბურევესტნიკმა" მოიგო ანგარიშით 30:19.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა კიდევ უფრო გაზარდეს ანგარიშში სხვაობა და შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 66:44. მეორე ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: ქალები — „ინდორსტროი" (კიშინიოვი)-„ზახმეტი" (აშხაბადი) — 75:44, ვაჟები — „ჟალგირისი" (კაუნასი)-სკა (ტაშკენტი) — 86:34.

გუშინ, 29 იანვარს, გაიმართა მესამე ტურის მატჩები. ტექნიკური შედეგები ასეთია: ქალები — „ბურევესტნიკი" (მინსკი)-„ზახმეტი" (აშხაბადი) — 69:54, სკა (ლენინგრადი)-„ინდორსტროი" (კიშინიოვი) — 59:42, „ბურევესტნიკი" (თბილისი)-„ურალმაში" (სვერდლოვსკი) — 64:37.

ვაჟები — სკა (ლენინგრადი)-სკა (ტაშკენტი) — 58:52, სკა (რიგა)-„ინდორსტროი" (კიშინიოვი)— 79:52, „ბურევესტნიკი" (თბილისი)-„ჟალგირისი" (კაუნასი) — 80:76.

ნ. ახვლედიანი

## ლენინგრადი

ლენინგრადი. (ტელეფონით). გრძელდება საკავშირო პირველობის შეხვედრები კალათბურთში. მოგვყავს ტექნიკური შედეგები: 27 იანვარი. **ქალები** — სკიფი (ლენინგრადი)-„ბურევესტნიკი" (ფრუნზე) — 60:43, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი)-„სპარტაკი" (ერევანი) — 66:47, „სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი)-„ბურევესტნიკი" (როსტოვი) — 61:47. **ვაჟები** — „ბურევესტნიკი" (ოდესა)-სკიფი (ერევანი) — 82:55, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი)-„ბურევესტნიკი" (ალმა-ატა) — 73:62, ცსკა (მოსკოვი)-ვეფი (რიგა) — 66:58.

28 იანვარი, **ქალები** — „სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი)-„სპარტაკი" (ერევანი) — 70:55, „ბურევესტნიკი" (ფრუნზე) — 82:47, „ბურევესტნიკი" (როსტოვი)-სკიფი (ლენინგრადი) — 69:68. **ვაჟები** — „ბურევესტნიკი" (ალმა-ატა)-სკიფი (ერევანი) — 89:47, ცსკა (მოსკოვი)-„ბურევესტნიკი" (ოდესა) — 91:65, ვეფი (რიგა)-„ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — 63:60.

## კიევი

კიევი. (ტელეფონით). საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურში გაიმართა კიდევ 6 შეხვედრა. მოგვყავს ტექნიკური შედეგები. 27 იანვარი. **ქალები** — უნივერსიტეტი (ტარტუ) - „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — 64:46, „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (ალმა-ატა) — 78:41, „ტექსტილმაში" (ტაშკენტი) — „დინამო" (კიევი) — 56:38.

**ვაჟები** — „სტროიტელი" (კიევი)-„დინამო" (მოსკოვი) — 66:55, „ურალმაში" (სვერდლოვსკი)-სკიფი (ფრუნზე) — 74:66, სკა (კიევი)-„სპარტაკი" (მინსკი) — 74:64.

28 იანვარს გაიმართა მესამე ტურის მატჩები. **ქალები:** უნივერსიტეტი (ტარტუ)-„ბურევესტნიკი" (ალმა-ატა) — 79:50; **ვაჟები:** „დინამო" (მოსკოვი)-„სპარტაკი" (მინსკი) — 66:63, „ურალმაში" (სვერდლოვსკი-„სტროიტელი" (კიევი) — 57:56.

### ცნობები ხარკოვიდან

ხარკოვი. 29 იანვარი. (ტელეფონით). თბილისის ფრენბურთელ ქალთა გუნდმა საკავშირო შეჯიბრებაში მორიგი დამარცხებები განიცადა — ხარკოვის „სპარტაკთან" — 2:3 და ოდესის „ბურევესტნიკთან" — 0:3. ჩვენს ვაჟთა გუნდს შეხვედრა ჰქონდა ხარკოვის „ბურევესტნიკთან". მატჩი თბილისელებმა წააგეს—0:3. ხარკოვის ზონაში ჩვენს სპორტსმენებს უკანასკნელი მატჩი ჰქონდათ ლენინგრადის სკას-თან, სადაც მიაღწიეს გამარჯვებას — 3:1.

## ბაქო

ბაქო. (ტელეფონით). აქ ტურის მთავარ ფავორიტებად ვაჟთა შორის თბილისის დინამოელები ითვლებიან, ხოლო ქალთა შორის — რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს გუნდი. ჩემპიონატის დაწყებამდე აზერბაიჯანის სპორტულმა გაზეთმა „ფიზკულტურნიკ აზერბაიჯანმა" შეკითხვით მიმართა მსაჯებს, ტურნირის მონაწილეებს და მათ მწვრთნელებს: „ვინ გაიმარჯვებს ბაქოს ქვეჯგუფში?" ყველა პასუხი ერთნაირი იყო: ვაჟებში — თბილისის „დინამო", ქალებში — რიგის ტტტ.

ჩემპიონატის მესამე ტურში თბილისის „დინამო" შეხვდა დუშანბეს „ტაჯიკისტანს". ამ მატჩს ძალთა უთანასწორობის გამო არ ჰქონია დიდი სპორტული ინტერესი. თბილისელებმა თითქმის მთელი შეხვედრა მეორე შემადგენლობით ჩაატარეს, მაგრამ მაინც იოლ გამარჯვებას მიაღწიეს — 70:49 (35:29). ვაჟთა გუნდების დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: სკიფი (ბაქო)-„ზახმეტი" (აშხაბადი) — 90:75, „კალევი" (ტარტუ)-„სპარტაკი" (ლენინგრადი) — 72:50.

წარმატებით გამოდის ჩემპიონატში რიგის ტტტ. მან მესამე ტურში დაამარცხა პენზის „ზარია" — 67:46 და სათავეში ჩაუდგა გათამაშების ცხრილს. რიგელ კალათბურთელებს სამი შეხვედრა აქვთ მოგებული. ერთი დღით ადრე მათ დაამარცხეს კაუნასის „პოლიტექნიკი" — 58:43. მოსკოვის „დინამომ" ბაქოს „ბურევესტნიკთან" გამარჯვების შემდეგ (50:34) დაამარცხა კაუნასის „პოლიტექნიკი" — 49:46. ბაქოს „ბურევესტნიკის" კალათბურთელებმა მოუგეს დუშანბეს „ტაჯიკისტანს" — 65:43.

**სურათებზე:** (ზევით) თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდის წევრი ი. ლეჟავა ემზადება გადამწყვეტი სროლისათვის. (ქვევით) ს. გლურჯიძე ხელს უშლის მოწინააღმდეგის მცველს შეტევის წარმატებით დაგვირგვინებაში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## „დინამოს" ჩემპიონატი

დამთავრდა აჭარის „დინამოს" პირველობა ჭადრაკში ვაჟთა შორის გათამაშებაში მონაწილეობდა ბათუმის 1961 წლის ჩემპიონი ქალთა შორის დ. შავთვალიშვილი.

პირველ ადგილზე გამოვიდა გამოცდილი პირველთანრიგოსანი პ. მორჩილაძე, რომელმაც 8,5 ქულა მოაგროვა 10 შესაძლებლიდან. II-III ადგილები გაიყვეს ზ. აფხაზავამ და დ. შავთვალიშვილმა — 8 ქულა თვითეულს.

16 წლის დ. შავთვალიშვილისათვის ეს დიდი წარმატებაა. მის აქტივშია გამარჯვებები პირველთანრიგოსან მოჭადრაკეებთან გ. აბდიროვთან, ზ. აფხაზავასთან, რ. გიასოვთან და სხვებთან.

ვ. ჯანტურია



ეზა უშბისაკენ...     ფოტო გ. თიკანაძისა.

# სენიორ რიცოლის აღსარება

სენიორ რიცოლი ცნობილი კაცია იტალიაში. ესაა მსხვილი მილიონერი და იტალიური პროფესიული საფეხბურთო კლუბის — „მილანის" მეპატრონე. ამას წინათ რიცოლის ერთობ გულისამაჩუყებელი საუბარი ჰქონდა ინგლისური გაზეთის „დეილი მეილის" კორესპონდენტთან. რიცოლიმ ამ საუბარში უხვად დაღვარა ნიანგის ცრემლები:

— წარმოგიდგენიათ? — სლუკუნებდა იგი, — მე ბრალს მდებენ, თითქოს ფეხბურთის გუნდი ვაქციე შემოსავლის წყაროდ. საშინელი ცილისწამებაა! ჩვენი კლუბი ბიზნესი არაა. იგი არსებობს იმისთვის, რომ ახეთი პირველხარისხოვანი, საუკეთესო გუნდი ახალგაზრდობას დააინტერესებს და ააცდენს მავნე, ამორალურ გზას.

საინტერესოა, რა „მავნე და ამორალური" გზიდან იცავს ეს „კეთილშობილი" იტალიელი მილიონერი ახალგაზრდებს. თურმე ლაპარაკია... კომუნიზმზე. „თქვენ თამამად შეგიძლიათ დაწეროთ, — ავტორიტეტულად განუცხადა რიცოლიმ რეაქციული „დეილი მეილის" კორესპონდენტს, — რომ ფეხბურთი ჩემი პირადი ღვაწლია კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენს ქვეყანაში. სპორტი საერთოდ არ უნდა ავურიოთ პოლიტიკასთან, მაგრამ სულ სხვა საქმეა, როცა ლაპარაკი ეხება კომუნიზმს".

მაშ ასე. ჯერ ერთი სენიორ რიცოლი ბიზნესმენი არაა. მეორეც — მას არავითარი „კავშირი" არა აქვს პოლიტიკასთან, რა ბრძანებაა! იგი „უანგაროდ" ყიდულობს ფეხბურთის „ვარსკვლავებს" მსოფლიოს ყველა კუთხეში იმ მიზნით, რომ „ჯანსაღი სიამოვნება" მიანიჭოს თავის თანამემამულეებს. და რა მისი ბრალია, თუ ყველაფერ ამის შედეგად მის მილიონებს ყოველდღიურად ემატება ახალი მილიონები.

## გულშემატკივრების ხარჯზე

რამდენიმე თვე დარჩა ფეხბურთში მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე. ამჟამად მასში მონაწილე გუნდები გაცხოველებით ემზადებიან პირველობაში წარმატებით გამოსვლისათვის, ჩილის ტურნირისათვის არანაკლებ მზადებაში არიან სპორტის მოყვარულები და... სპორტის საქმოსნები(!) ადამიანთა ეს უკანასკნელი კატეგორია დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღოს მსოფლიო პირველობიდან. გამდიდრებისათვის ბრძოლაში უკვე ჩაებნენ უდიდესი კინოფირმები. ჯერჯერობით „წინ არის" ფირმა „ემპრეზა-პანი", რომელიც კისრულობს 470.000 დოლარის გადახდას, თუ კონკურსში გამარჯვებული გამოვა ზემოხსენებული ფირმა, მაშინ ევროპის ტელე და კინოკომპანიებმა კინოფირები უნდა შეიძინონ „ემპრეზა-პანისაგან" გადიდებულ ფასებში. ყოველ შემთხვევაში, წერს დასავლეთ გერმანული ჟურნალი „ფუსბალტრენერი" — ჩემპიონატის ამსახველი ფილმის ნახვა არც თუ იაფი იქნება, საქმოსნები ჯიბეს გაისქელებენ გულშემატკივრების ხარჯზე.

## „პენიაროლის" მარცხი

ევროპაში სავასტროლოდ ჩამოვიდა ურუგვაის დედაქალაქის — მონტევიდეოს ცნობილი გუნდი „პენიაროლი". ევროპელი სპეციალისტები დიდი ინტერესით მოელოდნენ ურუგვაელებს. საქმე იმაშია, რომ „პენიაროლი" ამჟამად არის არა მარტო სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასში გამარჯვებული, არამედ „ოქროს ბურთის თასის" მფლობელიც, რომელიც მან მიიღო ე. წ. საკონტინენტთაშორისო მატჩების მოგებისათვის პორტუგალიის „ბენფიკასთან".

„პენიაროლს" პირველი მატჩი ჰქონდა ქ. ლიეჟის სტადიონზე ბელგიის ჩემპიონ „სტანდარტთან", რომელიც არ მიეკუთვნება ევროპის უძლიერესი გუნდების პირველ ათეულს. მიუხედავად ამისა, ურუგვაელებმა განიცადეს მარცხი ანგარიშით 1:3.

რედაქტორი ი. უგულავა.

## ტონი მარკის ხსოვნას

1959 წლის გაზაფხულზე ერთ-ერთი შეჯიბრებისას უაღრესად ძნელ სამთო - სათხილამურო ტრასაზე დაეცა ცნობილი ავსტრიელი სლალომისტი ტონი მარკი. მას დიდხანს არ უცოცხლია და საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მაშინ პრესაში დიდი ხმაური ატყდა ამ ტრაგიკული შემთხვევის გამო. ცხადი იყო, რომ ტ. მარკი დაიღუპა შეჯიბრების ორგანიზატორთა დანაშაულებრივი უყურადღებობის გამო და გავლენიანმა ადამიანებმა ეს საქმე მიაფუჩეჩეს. მაგრამ ტ. მარკი არ დაივიწყეს მისმა ამხანაგებმა— სპორტსმენებმა. ავსტრიის სათხილამურო კლუბმა გადაწყვიტა 1962 წლის იანვრის დასასრულს მოაწყოს დიდი საერთაშორისო შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სახეობებში მიძღვნილი ტ. მარკის ხსოვნისადმი. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი განაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების, ჩილის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების მოთხილამურეებმა.

## ფეხბურთის ქრონიკა

**საფრანგეთის** ეროვნულ ჩემპიონატში კლავინდებურად წინაა „ნიმი", რომელმაც თავისი უკანასკნელი მატჩი ჰავრში მოიგო ანგარიშით 2:1. ბოლო ტურის სენსაციას წარმოადგენდა „რეიმსის" შეხვედრა „სტად ფრანსესთან". რეიმსელებმა საკუთარ მინდორზე განიცადეს სასტიკი დამარცხება ანგარიშით 0:4.

ამჟამად „ნიმი" საგრძნობლად დაცილდა თავის უახლოეს მოწინააღმდეგეებს. ლიდერს აქვს 33 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან „ლანსი" — 33 ქულა, შემდეგ — „სედანი" და „რენი" — 29 და „რეიმსი" — 28 ქულა.

• • •

**იტალია.** ჩვენ ადრე ვიტყობინებდით, რომ იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა „ინტერნაციონალემ" წააგო „ფიორენტინასთან" — 1:4. ამის შედეგად გათამაშებას ამჟამად სათავეში უდგას 3 გუნდი. ესენია: „ფიორენტინა", „ინტერნაციონალე" და „მილანი" — 32 ქულა თვითეულს. მათ 3 ქულით ჩამორჩება „რომა" — 29 ქულა.

• • •

**ინგლისი.** ჩემპიონატის 26-ე ტურში ფრედ — 1:1 ითამაშა „ბერნლიმ" „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან". აგრეთვე 1 ქულა აიღო „ტოტენჰემ ჰოტსპურმა" „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრაში — 2:2, „ევერტონმა" კი მძიმე ბრძოლაში სძლია „ლესტერ სიტის" — 3:2.

26 ტურის შემდეგ, „ბერნლის" აქვს 35 ქულა, „ტოტენჰემს" — 33 და „ევერტონს" — 32 ქულა.



მიმდინარეობს საკავშირო პირველობა კალათბურთში

**30 იანვარი**

18 ს. 30 წ. ვაჟები სკა (ლენინგრადი)-„ჟალგირისი" (კაუნასი).
19.50 ქალები სკა (ლენინგრადი)-„ბურევესტნიკი" (თბილისი).
21.10 ვაჟები „ბურევესტნიკი" (თბილისი)-სკა (რიგა).

**31 იანვარი**

14.00 ქალები „ბურევესტნიკი" (მინსკი)-„ურალმაში" (სვერდლოვსკი).
15.26 ვაჟები „ინუდორსტროი" (კიშინიოვი)-„ჟალგირისი" (კაუნასი).
16.40 ქალები „ზახმეტი" (აშხაბადი)-სკა (ლენინგრადი).
18.00 ვაჟები სკა (ტაშკენტი)-სკა (რიგა).
19.20 ქალები „ინუდორსტროი" (კიშინიოვი)-„ბურევესტნიკი" (თბილისი).
20.40 ვაჟები სკა (ლენინგრადი)-„ბურევესტნიკი" (თბილისი).

**1 თებერვალი**

(ლენინის სახელობის დარბაზში)

10.00 ქალები „ზახმეტი" (აშხაბადი)-„ურალმაში" (სვერდლოვსკი).
11.20 ვაჟები „ინუდორსტროი" (კიშინიოვი)-სკა (ტაშკენტი).
12.40 ქალები „ინუდორსტროი" (კიშინიოვი)-„ბურევესტნიკი" (მინსკი).


31 იანვარი–
4 თებერვალი
ლენინის სახ.
დარბაზი
ფრენბურთი
რესპუბლიკის
ზამთრის
პირველობა
დასაწყისი 12 საათზე.



1—7 თებერვალი
სპორტის
სასახლე
ხელბურთი
„ბურევესტნიკის"
საკავშირო პირველობა
მონაწილეობენ: კიევის, ლენინგრადის, ლვოვის, თბილისისა და სხვა ქალაქების ვაჟთა და ქალთა გუნდები.
დასაწყ. დილით 10 ს. საღ. 17 საათზე.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის —3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვებების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14     უე 05636